OPD11/14-088 **5 ნოემბერი 2014 წ.**

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(საჯარო ინფორმაციის მიღების მოთხოვნით)

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე, 38-ე და მე-40 მუხლების თანახმად, გთხოვთ მოგვაწოდოთ **2012 წლის 20 ოქტომბრიდან დღემდე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სისტემიდან:**

1. გათავისუფლებულ (მათ შორის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველზე გათავისუფლებულ) თანამშრომელთა რაოდენობა, სტრუქტურული დანაყოფებისა და დაქვემდებარებული უწყებების და განთავისუფლების საფუძვლების მიხედვით;

2. სამინისტროს პასუხისმგებელი პირების მიერ წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარასთან დაკავშირებით გამოვლენილი ფაქტების რაოდენობა (იმ პირთა რაოდენობის მითითებით ვინც განახორციელა და ვისზეც განხორციელდა (ცალ-ცალკე) წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, აგრეთვე წამების მუქარა);

3. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარასთან დაკავშირებით საქართველოს მთავარ პროკურატურაში გადაგზავნილი საქმეების რაოდენობა (იმ პირთა რაოდენობის მითითებით ვინც განახორციელა და ვისზეც განხორციელდა (ცალ-ცალკე) წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა, აგრეთვე წამების მუქარა);

4. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის გამო, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მიცემულ თანამშრომელთა რაოდენობა;

5. წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის, აგრეთვე წამების მუქარის გამო რეგისტრირებული (მათ შორის ყოფილი პატიმრების მიერ) საჩივრების/განცხადებების რაოდენობა (თარიღისა და გარემოებების მითითებით);

აღნიშნული ინფორმაცია გთხოვთ მოგვაწოდოთ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გთხოვთ ის ინფორმაცია, რომელიც იწარმოება ელექტრონულად ან/და შესაძლებელია მისი ელექტრონულ ფორმატში გადაყვანა, მოგვაწოდოთ ელექტრონული დოკუმენტის სახით შემდეგ მისამართზე - info@idfi.ge , ხოლო დანარჩენი ინფორმაცია ქსეროასლის სახით.

გაცნობებთ, რომ ა(ა)იპ - ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი მზად არის, გადაიხადოს „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოსაკრებელი.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

დირექტორი